

განმარტებითი ბარათი

“საკონსულდო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის შემუშავება გამოიწვია “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების მომზადებამ. ასევე, უცხოელთა საქართველოში შემოსვლა-გასვლის უფრო მარტივი რეჟიმის დაწესების აუცილებლობამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია “საკონსულდო მოსაკრებლის შესახებ” კანონის მოყვანა შესაბამისობაში “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტთან, ასევე უცხოელთათვის საქართველოში შემოსვლა-გასვლის უფრო მარტივი რეჟიმის დაწესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ იარსებებს საქართველოში ექვსთვიანი და ერთწლიანი მრავალჯერადი ვიზები. შესაბამისი ცვლილება შედის “საკონსულდო მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის “ბ.დ” და “ბ.ე” ქვეპუნქტებში, რომლის თანახმად, იარსებებს მრავალჯერადი ორდინალური ვიზები 6 თვემდე და 1 წლამდე ყოფნის ვადებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით ექვსთვიანი ვიზისთვის დადგენილი მოსაკრებელი არ იცვლება. იცვლება მხოლოდ ამ ვიზით სარგებლობის რიცხვი. ასევე, არ იცვლება მრავალჯერადი ვიზისთვის დადგენილი მოსაკრებელი, არამედ იზრდება ვიზის მოქმედების ვადა ერთ წლამდე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეფტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირეფტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორებია საქართველოს პარლამენტის წევრები კონსტანტინე გაბაშვილი და ლევან ბეჟაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორებია საქართველოს პარლამენტის წევრები კონსტანტინე გაბაშვილი და ლევან ბეჟაშვილი.